საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030192817420722

№ 01-158/ო **29 / მარტი / 2022 წ.**

COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტის ,,პაქსლოვიდის“ განაწილებისა და COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებში გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ‘‘ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) ,,ნირმატრელვირ/რიტონავირის (პაქსლოვიდის) გამოყენება COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებში“ გზამკვლევი (დანართი N1);

ბ) სამედიცინო დაწესებულებების ნუსხა, რომლებშიც განაწილდება ,,ნირმატრელვირ/რიტონავირი (პაქსლოვიდი)" (დანართი N2);

გ) ,,ნირმატრელვირ/რიტონავირის (პაქსლოვიდის)” გამოყენების ინსტრუქცია/სამახსოვრო (დანართი N3);

დ) მიმართვის ფორმა (დანართი N4).

2. „ნირმატრელვირ/რიტონავირის (პაქსლოვიდის) (შემდგომში - მედიკამენტი) მიღებისა და განაწილების წესი განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - განმახორციელებელი) უზრუნველყოფს ცენტრალიზებულად შესყიდული მედიკამენტის მიღებას და დასაწყობებას ქვეყნის მასშტაბით შემდეგი პრინციპით:

ა.ა) მედიკამენტების გარკვეული მარაგი (6600 კოლოფი) განთავსდება სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საცავში;

ა.ბ) მედიკამენტის 3400 კოლოფი განაწილდება ქვეყნის მასშტაბით N2 დანართით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებებში (აღნიშნულ დაწესებულებებში მედიკამენტის მარაგის შევსება მოხდება საჭიროების შესაბამისად, განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული რაოდენობების და პერიოდულობის მიხედვით).

ბ) N2 დანართით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია:

ბ.ა) გამოყოს მედიკამენტის საცავი სივრცე შესაბამისი დაცვით;

ბ.ბ) გამოყოს მედიკამენტის აღრიცხვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირი;

ბ.გ) უზრუნველყოს მედიკამენტის რაოდენობრივი აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში (ჟურნალის ფორმა მტკიცდება განმახორციელებლის მიერ);

ბ.დ) უზრუნველყოს განმახორციელებლისთვის დადგენილი წესით მედიკამენტის ხარჯვისა და ბრუნვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (მიწოდების ვადებს და ფორმას ამტკიცებს განმახორციელებელი).

გ) N2 დანართით განსაზღვრული დაწესებულებებიდან მედიკამენტის მიწოდება პაციენტებისათვის განხორციელდეს შემდეგი წესით:

გ.ა) მედიკამენტის დანიშვნას, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული გზამკვლევის (დანართი N1) შესაბამისად, უზრუნველყოფს COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების ბინაზე დისტანციურ მართვაში ჩართული **ონლაინ-კლინიკის/დაზღვევის ექიმი**, რომელიც:

გ.ა.ა) პაციენტის დანიშნულებას ასახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“-ის (შემდგომ ტექსტსა და დანართებში - **„112“**) პროგრამული უზრუნველყოფის ბაზაში;

გ.ა.ბ) აწვდის ინფორმაციას ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის (შემდგომში - **ჰოლდინგი**) ცენტრალურ ონლაინკლინიკას (შემდგომში - **„1522“**) ელექტრონული ფოსტის (drug.onlineclinic@moh.gov.ge) საშუალებით, N4 დანართის შესაბამისად.

გ.ბ) „**1522**“ ყოველი დღის ბოლოს ახორციელებს **ონლაინ-კლინიკის/დაზღვევის ექიმისგან** ელექტრონული ფოსტით მიღებული ინფორმაციის დაჯგუფებას და აწვდის ინფორმაციას, ტერიტორიული პრინციპით, N2 დანართით განსაზღვრულ დაწესებულებებს N4 დანართის შესაბამისად;

გ.გ) ბენეფიციარისთვის მედიკამენტის მიწოდებას ახორციელებს **ჰოლდინგი**. ამ მიზნით, **ჰოლდინგი** უზრუნველყოფს:

გ.გ.ა) შესაბამისი ტრანსპორტის ორგანიზებას;

გ.გ.ბ) მედიკამენტის დარიგებაზე პასუხისმგებელი პირების - ექიმის/ექთნის (შემდგომში - პასუხისმგებელი პირი) გამოყოფას **ჰოლდინგის** დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

გ.დ) N2 დანართით განსაზღვრული დაწესებულებიდან **ჰოლდინგ**ის მიერ განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირზე მედიკამენტის გაცემა ხორციელდება დღეში ერთხელ, „**1522“**-ის მიერ მოწოდებული ცხრილის შესაბამისად. მედიკამენტის გაცემასთან ერთად დაწესებულება უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირისთვის კონკრეტულ პაციენტთან გასაფორმებელი მიღება-ჩაბარების ფორმების (2 ეგზემპლიარი თითო პირზე) გადაცემას;

გ.ე) მედიკამენტები პაციენტებზე გაიცემა ორ ეტაპად: პირველ დღეს-პირველი ორი დღის სამყოფი ოდენობა (2 ფირფიტა) და მესამე დღეს-დარჩენილი სამი დღის სამყოფი ოდენობა (3 ფირფიტა);

გ.ვ) მედიკამენტის პაციენტზე გადაცემისას პასუხისმგებელი პირი და პაციენტი აფიქსირებენ ხელმოწერას მიღება-ჩაბარების ფორმებზე, საიდანაც ერთი რჩება პაციენტს, ხოლო მეორე პასუხისმგებელ პირს. მედიკამენტთან ერთად პაციენტს გადაეცემა მედიკამენტის გამოყენების ინსტრუქცია/სამახსოვრო (დანართი N3);

გ.ზ) პირველი დღის პირველ დოზას პაციენტი იღებს პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც პირველი ვიზიტის დროს დეტალურად უხსნის პაციენტს და/ან მის მომვლელს/ოჯახის წევრს მედიკამენტის მიღების ინსტრუქციას და პირველი დოზის მიღების შემდეგ პაციენტთან რჩება 15 წთ-ის განმავლობაში;

გ.თ) დანარჩენი დოზების მიღების დღეებში (პერიოდში) პაციენტს ყოველი დოზის მიღებამდე უკავშირდება **ონლაინ-კლინიკის/დაზღვევის** ექიმი ან ექთანი, რომელიც ახსენებს პაციენტს დოზის მიღების თაობაზე და ასევე ელოდება დასტურს, რომ პაციენტმა მიიღო შესაბამისი დოზა;

გ.ი) **ონლაინ-კლინიკის/დაზღვევის ექიმი** ახორციელებს, ერთიან ფორმატში, ცალკეულ პაციენტზე მედიკამენტების მიღების პროცესის (სატელეფონო გადამოწმების საფუძველზე) და მედიკამენტის მიღების შემდეგ გამოვლენილი გვერდითი მოვლენების აღრიცხვას, აფიქსირებს შესაძლო პრობლემებს, პაციენტებზე შესაბამისი ინფორმაციის მოგროვების/მიდევნების მიზნებისთვის;

გ.კ) გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაცია ყოველდღიურად, დადგენილი ფორმის შესაბამისად, ელექტრონული ფოსტით (reporting@moh.gov.ge) მიეწოდება სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს - მედიკამენტის გვერდითი მოვლენების ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაჯგუფებას და მოთხოვნილი წესის შესაბამისად მწარმოებლისთვის მიწოდებას;

გ.ლ) პაციენტის გარდაცვალების ან მკურნალობის შეწყვეტის შემთხვევაში, მედიკამენტი ექვემდებარება დაბრუნებას, რასაც უზრუნველყოფს **ჰოლდინგი**. მობრუნებული მედიკამენტები **ჰოლდინგის** მიერ გადაეცემა განმახორციელებელს, განმახორციელებლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

დ) მედიკამენტთან დაკავშირებული დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში პაციენტმა უნდა მიმართოს მკურნალ ექიმს ან დაუკავშირდეს „1522"-ს.

3. მედიკამენტის გამოყენება შესაძლებელია ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში, იმ პირობით, რომ მათ აქვთ მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის COVID-19, იმყოფებიან დაავადების დამძიმების მაღალი რისკის ქვეშ და სიმპტომების დაწყებიდან არ არის გასული 5 დღეზე მეტი. სამედიცინო დაწესებულებებზე მედიკამენტის გაცემის და ადმინისტრირების წესი განისაზღვრება განმახორციელებლის მიერ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი